

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ტვირთის გადაზიდვის მომსახურების (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № 35-1

12 დეკემბერი 2019 წელი

ქ. ბათუმი
სხდომას ესწრებოდნენ:

თინათინ ზოიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი.

ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

ლეილა დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით (შვებულება) არ ესწრება ჯაბა ბერიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის აპარატის წევრი:

ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ტვირთის გადაზიდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

1. ლეილა დავითაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ტვირთის გადაზიდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

2. ტვირთის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:


კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გამოცხადებას.


დაადგინეს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ტვირთის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:  /თ. ზოიძე/

კომისიის წევრები:  /თ. კაიკაციშვილი/

 /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:  /ნ. მიქელაძე/